პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების დამხმარე სახელმძღვანელო

სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს.
ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.
(სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონი)

მომზადებულია საარჩევნო სისტემების, განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ

2010 წ.

სარჩევი

შესავალი.
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს არჩევნები 2010 წლის 30 მაისი — 3

თავი I. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა — 4
ცენტრალური საარჩევნო კომისია — 4
საოლქო საარჩევნო კომისია — 5
საუბნო საარჩევნო კომისია — 6

თავი II. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია — 7
პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები — 8
პასუხისმგებლობა — 9

თავი III. წინასაარჩევნო კამპანია — 9
საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა — 11

თავი IV. ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე ბეჭდური მედიის (გაზეთების) ვალდებულებები — 11

თავIV. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებისა და საზოგადოებრივი მაუწყებელის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფა — 12
წინასაარჩევნო რეკლამა — 13

თავი VII. კენჭისყრის დღე — 14
დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა უფლებები — 14
საარჩევნო უბნის გახსნა. კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები — 15
კენჭისყრის პროცესი — 19
კენჭისყრის პროცესის განსაკუთრებული შემთხვევები — 22
გადასატანი საარჩევნო ყუთია საშუალებით ხმის მიცემა — 24
კენჭისყრის დღესწესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში — 24
საარჩევნო უბნის დახურვა — 25
სამხედრო ნაწილში გახსნილი საარჩევნო უბნის პროცედურები — 25
საარჩევნო ყუთების გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები — 28
საარჩევნო ყუთების გახსნა — 30

საარჩევნო ბიულეტინების დახარისხება, დათვლა და დალუქვა — 32
კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება — 35
დანართი — 36
ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან — 36
ამონარიდი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან — 38
ამონარიდი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონიდან — 38

2010 წლის 30 მაისს ტარდება:

1. **საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნები:**

   - ✓ საქართველოს დედაქალაქში
   - ✓ თვითმმართველ ქალაქებში
   - ✓ მუნიციპალიტეტებში

2. **საქართველოს დედაქალაქის-თბილისის მერის არჩევნები.**

3. **საქართველოს პარლამენტის, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით გასამართი შუალედური არჩევნები:**

   - ✓ №7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქში;
   - ✓ №12 გურჯაანის საარჩევნო ოლქში;
   - ✓ №60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქში.

2010 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები არ ტარდება

- ✓ ერედვის მუნიციპალიტეტში;
- ✓ თიღვის მუნიციპალიტეტში;
- ✓ ქურთის მუნიციპალიტეტში;
- ✓ აჟარის მუნიციპალიტეტში;
- ✓ ახალგორის მუნიციპალიტეტში.

აღნიშნულ თვითმმართველ ერთეულებში შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს უნარჩუნდებათ უფლებამოსილება.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენს ერთ საარჩევნო ოლქს. შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული და ადმინისტრაციული თავისებურებების გათვალისწინებით ქმნიან ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს და აზუსტებენ მათ საზღვრებს.

თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს შემადგენლობა

- მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ყველა თემიდან და ქალაქიდან, რომელიც შედის ამ რაიონის შენადგენლობაში მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე არჩეული თითო წევრისაგან.

- თვითმმართველი ქალაქის საკრებულო შედგება:
  ა) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 15 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს;
  ბ) მაჟორიტარული სისტემის საფუძველზე არჩეული 5 წევრისა და პროპორციული სისტემის საფუძველზე არჩეული 10 წევრისგან, თუ ამომრჩეველთა რაოდენობა არ აღემატება 75 000-ს.

- თბილისის საკრებულო შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე, ხოლო 25 წევრი – პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე.

თავი I. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის სტატუსი და სისტემა

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ორგანო.

საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემა მოიცავს
- ✓ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო);
- ✓ საოლქო საარჩევნო კომისიებს
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიებს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია

ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან.
ცესკოს თავმჯდომარე იმავდროულად არის ცესკოს წევრი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია:
- ✓ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას;
- ✓ დადგენილებით იღებს საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტს;
- ✓ დადგენილებით განსაზღვრავს საარჩევნო პროცესში მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო და არასახელმწიფო საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს საარჩევნო კოდექსისა და საქართველოს სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მის შესრულებას;
- ✓ დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნების გამართვისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს;
- ✓ უზრუნველყოფს საარჩევნო საბუთების, საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების დამზადებასა და საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;
- ✓ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე ადგენს ქალაქ თბილისის საკრებულოს, ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს, რის თაობაზედაც დგება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

- ✓ უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და მათ დაუყოვნებლივ განთავსებას ინტერნეტში;
- ✓ განკარგულებით განსაზღვრავს იმ ოლქების ჩამონათვალს, სადაც განთავსებული იქნება ვიდეოდაკვირვებისა და ჩაწერის საშუალებები – ე. წ. ვიდეოთვალი
- ✓ ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას.

საოლქო საარჩევნო კომისია

საოლქო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი ტერიტორიული ორგანო.

საოლქო საარჩევნო კომისია შედგება 5 წევრისაგან, რომელთაც სრული შემადგენლობის უმრავლესობით 5 წლის ვადით ირჩევს ცესკო.

არჩევნების დანიშვნის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა იზრდება 7 არამუდმივი წევრით, რომელთაგან 6 წევრს ნიშნავენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად იღებენ დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო 1 წევრს სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ცესკო.

აღნიშნული წესით დანიშნული/არჩეული წევრების უფლებამოსილება წყდება შესაბამისი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე.

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირებს-კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილესა და კომისიის მდივანს საოლქო საარჩევნო კომისია ირჩევს თავისი შემადგენლობიდან, სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით, შტამპი, დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორებისა და მიმდინარე საბანკო ანგარიშები. საოლქო საარჩევნო კომისიისათვის ცესკოს მიერ განსაზღვრული ფინანსების ხარჯვაზე პასუხისმგებელი არიან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. არჩევნებისათვის გამოყოფილი ფინანსების ხარჯვის უფლება საოლქო საარჩევნო კომისიას აქვს ნებისმიერ კომერციულ ბანკში ან/და მის ფილიალში გახსნილი ანგარიშიდან.

საოლქო საარჩევნო კომისია:

- ✓ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საარჩევნო ოლქში უზრუნველყოფს არჩევნების გამართვას, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას.
- ✓ განკარგულებით ქმნის და აზუსტებს საარჩევნო უბნების საზღვრებს;
- ✓ განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, აჯამებს კენჭისყრის შედეგებს ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისას, რის თაობაზედაც დგება საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი;
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, ადგენს მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას (გარდა ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისა), რის თაობაზედაც დგება საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;
- ✓ აკონტროლებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ „არჩევნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესის“ შესრულებას;
- ✓ უზრუნველყოფს არჩევნებთან დაკავშირებული საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გამოქვეყნებას;
- ✓ ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას

საუბნო საარჩევნო კომისია არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის დროებითი ტერიტორიული ორგანო, რომელიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს არჩევნების კანონიერად ჩატარებას, საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი კენჭისყრის პროცედურების მიმდინარეობას, ამომრჩეველთა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა და დამკვირვებელთა უფლებების დაცვას (მუხლი 38).

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისგან. საუბნო საარჩევნო კომისიის 6 წევრს კონკურსის საფუძველზე ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო 7 წევრს ნიშნავენ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად უფლებამოსილი პარტიები (მუხლი 26.2, მუხლი 37).

საუბნო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან	
	7 წევრს ნიშნავენ შემდეგი პარტიები:
6 წევრს ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისია	„ნაციონალური მოძრაობა"(1 წევრი)
	„ლეიბორისტული პარტია" (1 წევრი)
	„რესპუბლიკური პარტია" (1 წევრი)
	„კონსერვატორული პარტია"(1 წევრი)
	„ჩვენ თვითონ"(1 წევრი)
	„მრეწველები" (1 წევრი)
	„ქრისტიან-დემოკრატიული პარტია" (1 წევრი)

საარჩევნო კომისიის წევრი არ არის მისი დამნიშვნელი/ამრჩევი სუბიექტის წარმომადგენელი. იგი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და საარჩევნო კოდექსს. რაიმე ზემოქმედება საარჩევნო კომისიის წევრზე ან მის საქმიანობაში ჩარევა, აკრძალულია და ისჯება კანონით (მუხლი 19.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილება იწყება კომისიის პირველი შეკრების დღეს და წყდება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისთანავე (მუხლი 20.2).

აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა კენჭისყრის დღემდე 15 დღით ადრე (მუხლი 21.5).

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილება

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (მუხლი 39.1):

- ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს საუბნო საარჩევნო კომისიაში;
- უძღვება საუბნო საარჩევნო კომისიის სხდომას;
- იღებს და ანაწილებს საუბნო საარჩევნო კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის სახელზე შესულ კორესპონდენციას;
- პირადად აგებს პასუხს საარჩევნო ბიულეტენების, სპეციალური კონვერტების, კომისიის ბეჭდების, შემაჯამებელი ოქმების, საკონტროლო ფურცლისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტაციის შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის;
- საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანსა და კომისიის სხვა წევრებს;
- კენჭისყრის დღეს, ორგანიზებას უწევს კომისიის წევრთა შორის ფუნქციათა წილისყრით განაწილებას;
- პასუხისმგებელია, კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე წესრიგის დაცვაზე;
- ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამებისთანავე ზემდგომ საოლქო საარჩევნო

კომისიას გადასცემს ყველა საარჩევნო დოკუმენტაციას;

- ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (მუხლი 39.2)**:**

- ასრულებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა).

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით (მუხლი 39.3)**:**

- ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტებს;
- ახორციელებს საარჩევნო დოკუმენტაციის, განცხადებების, საჩივრების მიღებას, გაცემასა და აღრიცხვა-რეგისტრაციას;
- ვალდებულია აწარმოოს საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალი და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნი;
- პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- ადგენს საარჩევნო კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს და თუ საჭიროა – შესწორების ოქმს;
- ახორციელებს საარჩევნო კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს საარჩევნო კოდექსით დადგენილ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა (მუხლი 39.4)

თავი II. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაცია

საარჩევნო კომისიების სხდომებზე დასწრებისა და კენჭისყრის შენობებში ყოფნის უფლება აქვთ შესაბამის საარჩევნო კომისიაში აკრედიტირებულ პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს.

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის და სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას- შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი. **(საარჩევნო კოდექსი მუხლი 72 პუნქტი 2).**

განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ წარედგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა. **(საარჩევნო კოდექსი მუხლი 72 პუნქტი 3).**

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენლებს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს)**(საარჩევნო კოდექსი მუხლი 72 პუნქტი 4).**

კენჭისყრის დღეს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენლისა.

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების უფლებები და მოვალეობები

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს უფლება აქვთ:

- ✓ დაესწრონ და დააკვირდნენ შესაბამის საარჩევნო კომისიის სხდომებს.
- ✓ საარჩევნო ადმინისტრაციდან გამოითხოვოს სჯარო ინფორმაცია.
- ✓ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ✓ ფარული კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება (საარჩევნო კოდექსი მუხლი 67 პუნქტი 4).
- ✓ კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა აკრედიტებულ წარმომადგენელს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე). (საარჩევნო კოდექსი მუხლი 53 პუნქტი 9)
- ✓ გაასაჩივროს ცესკოს/საოლქო საარჩევნო კომისიი მდივნის განკარგულება აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ (საარჩევნო კოდექსი მუხლი $77^{1,}$ პუნქტი 14).

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლებს ეკრძალებათ:

- ➢ ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში (საარჩევნო კოდექსი მუხლი70 პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი).
- ➢ გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 70, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი).
- ➢ აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ (საარჩევნო კოდექსი მუხლი 70, პუნქტი 2, ქვეპუნქტი "გ").
- ➢ ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი; (საარჩევნო კოდექსი მუხლი 70 პუნქტი 2 ქვეპუნქტი "დ").
- ➢ კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- ➢ დაარღვიოს საარჩევნო კოდექსის სხვა მოთხოვნები.

გახსოვდეთ! კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები (მათ შორის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლები) უნდა ატარებდნენ მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას).

გახსოვდეთ!
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე. (საარჩევნო კოდექსი მუხლი 39 პუნქტი 1 ქვეპუნქტი " $ზ^{1}$")

პასუხისმგებლობა:

- ✓ **კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა-გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით** (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[29]).

- ✓ **მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლა – გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით** (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[30]).

- ✓ **მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების მიერ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 70-ე საარჩევნო კოდექსი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ"–„დ" ქვეპუნქტებით დაკისრებული მოთხოვნების დარღვევა*(რაც გულისხმობს ამომრჩევლის მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე ზეგავლენის მოხდენას; რომელიმე კანდიდატის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ აგიტაციის გაწევას ამომრჩევლისათვის და რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკისა და ნიშნის ტარებას კენჭისყრის შენობაში)* – გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.** (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[31])

- ✓ **საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების ჩატარების დროს, რაც გამოიხატება საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის, პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატის, რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლისა და არჩევნების, საერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლაში, - გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.**

(საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საარჩევნო კოდექსი მუხლი 174[3])

თავი III. წინასაარჩევნო კამპანია

საქართველოში არჩევნების მომზადებისა და ჩატარების პროცესი საჯაროა. რაც გულისხმობს საარჩევნო კომისიების, საარჩევნო სუბიექტებისა და საარჩევნო პროცესებში მონაწილე სხვა პირთა საქმიანობის განხორციელებას ღიად და საჯაროდ.

წინასაარჩევნო კამპანია იწყება არჩევნების დანიშვნის მომენტიდან და ამ დღიდან საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატები კანონით დადგენილი წესით სარგებლობენ თანასწორი უფლებებით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 1). მათ უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და სხვა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73. პუნქტი 7). უფლება აქვთ წინასაარჩევნო აგიტაცია განახორციელონ:

- ✓ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით; (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73; პუნქტი 6);
- ✓ მასობრივი ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები მოქალაქეებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები, შეკრებები და მანიფესტაციები) (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 6);
- ✓ ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 6);

- ✓ ხმის გამაძლიერებელ საშუალებათა გამოყენებით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 6);
- ✓ ან სხვა ფორმით (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად).

ამასთან, დაუშვებელია საარჩევნო კამპანიის ჩატარება შემდეგი დაწესებულებების შენობებში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 10):

- ✓ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები;
- ✓ სასამართლოები;
- ✓ სამხედრო ნაწილებში.

☝ *–კანონით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა –* ***გამოიწვევს დაჯარიმებას*** **1000 ლარის ოდენობით.** (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[19])

☝ *– საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია ამ კანონით, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ –* ***გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.*** (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[20])

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, **გარდა**! საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული პირებისა.

წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის და აგიტაციაში მონაწილეობის უფლება არ აქვს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 73 პუნქტი 5):

- ✓ საარჩევნო კომისიების წევრებს;
- ✓ მოსამართლეს;
- ✓ საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების საჯარო მოხელეებს;
- ✓ პროკურატურის საჯარო მოხელეებს;
- ✓ დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურების საჯარო მოხელეებს;
- ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს;
- ✓ საქველმოქმედო და რელიგიურ ორგანიზაციებს;
- ✓ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეებს, **როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს**

☝ *– წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით - გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით!!!!!* (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[18])

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა

არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა მიეთითოს გამოკითხვის:

- ✓ დამკვეთი (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია);
- ✓ გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო;
- ✓ ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით, იურიდიული მისამართი);
- ✓ გამოკითხვის თარიღი;
- ✓ გამოკითხვის მეთოდი;
- ✓ გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება;
- ✓ შესაძლო ცდომილების ფარგლები.

არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნების შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა, არ შეიძლება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20 საათამდე. **(საარჩევნო კოდექსი მუხლი 73, პუნქტი 12)**

☝ საარჩევნო კოდექსით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[21]).

თავი IV. ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მქონე ბეჭდური მედიის (გაზეთების) ვალდებულებები

არჩევნების გამოცხადებიდან არჩევნების შედეგების შეჯამებამდე გაზეთები, რომლებიც ფინანსდება ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ვალდებული არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონულმა გაზეთებმა – შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია:

- ✓ რომელი რიცხვიდან, რა პერიოდულობით და რა დრომდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი,
- ✓ გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე,
- ✓ უფასო ფართობის გამოყოფის შემთხვევაში – მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე,
- ✓ ფართობის ტარიფი,
- ✓ გაწეული მომსახურება.

(საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაციის ფორმებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს განკარგულებით);

ბ) არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში არ უნდა დაეთმოს გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი;

გ) ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს;

დ) სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა: „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

ე) არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე არ გამოაქვეყნონ პოლიტიკური რეკლამა ზემოთ დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით.

თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი გაზეთის ფართობი, გაზეთს უფლება აქვთ ეს ფართობი თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

გაზეთებს რომლებიც არ ფინანსდებიან ცენტრალური ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან უფლება აქვს, წინასაარჩევნო რეკლამა ნებისმიერი პირობით გამოუყოს ნებისმიერ საარჩევნო სუბიექტს.

თავი V. სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელებისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფა

არჩევნების დღემდე **50-ე** დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელნი და საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისათვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (რეგიონალურმა ტელერადიომაუწყებლობებმა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას) ყოველკვირეულად გადასცენ ინფორმაცია:

- ✓ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო,
- ✓ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი,
- ✓ საეთერო დროის ტარიფი,
- ✓ გაწეული მომსახურება

(საარჩევნო კომისიაში წარსადგენი ინფორმაციის ფორმებს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს განკარგულებით);

ბ) ტელე ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 %-ს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი;

გ) პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

დ) არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე არ დაუშვან პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა.

თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო, სამაუწყებლო ლიცენზიის მფლობელს აგრეთვე საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლება აქვთ ეს დრო თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

გახსოვდეთ კენჭისყრის დღის წინა დღის 24 საათის შემდეგ აკრძალულია წინასაარჩევნო ფასიანი ან/და უფასო რეკლამის განთავსება ტელევიზიის და რადიოს ეთერის მეშვეობით.

წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან (ან გამოქვეყნებასთან) დაკავშირებული მოთხოვნათა დარღვევა – გამოიწვევს ელექტრონული მედიის

საშუალებების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით, ხოლო ბეჭდვითი მედიის საშუალებებისას- 500 ლარის ოდენობით.

წინასაარჩევნო რეკლამა:

პარტიებს უფასო საეთერო დროით სარგებლობის უფლება მიეცემათ შესაბამის საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაციის მომენტიდან

2010 წელს გასამართი არჩევნებისათვის უფასო საეთერო დროით სარგებლობენ შედეგი სუბიექტები:

- ✓ პარტია, რომელიც დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო საპარლამენტო, პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 4%, ან დამოუკიდებლად მონაწილეობდა ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში და მიიღო ამომრჩეველთა ხმების არანაკლებ 3% ქვეყნის მასშტაბით;
- ✓ პარტია, რომელიც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში და გადალახა 3%-იანი ბარიერი, ან ბოლო საპარლამენტო, პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში და გადალახა 4%-იანი ბარიერი. საეთერო დრო გამოიანგარიშება ზემოთ განსაზღვრული საეთერო დროის ოდენობის ბლოკში გაერთიანებული პარტიების რაოდენობაზე გაყოფის გზით;

თუ საარჩევნო სუბიექტში გაერთიანდა რამდენიმე პარტია, რომელიც ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში და გადალახა 3%-იანი ბარიერი, ან ბოლო საპარლამენტო, პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში გაერთიანებული იყო საარჩევნო ბლოკში და გადალახა 4%-იანი ბარიერი, მათთვის განკუთვნილი უფასო საეთერო დრო დაჯამდება. ამასთანავე, ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის განსაზღვრული უფასო საეთერო დრო არ უნდა აღემატებოდეს ზემოთ განსაზღვრულ ოდენობას.

საერთო მაუწყებელი, აგრეთვე მაუწყებელი, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად გამოყოს დრო ყოველ 3 საათში 90 წამის ოდენობით თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის. (**საარჩევნო კოდექსი მუხლი 129[17], მუხლი 73[1]**)

საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებელი, რომელიც საკუთარ ეთერში განათავსებს წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულია წინასაარჩევნო რეკლამა განათავსოს ყოველ საათში 60 წამის ოდენობით თითოეული საარჩევნო სუბიექტისათვის. (**საარჩევნო კოდექსი მუხლი 129[17], მუხლი 73[1]**)

წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს. **(მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 63)**

საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო საეთერო დროის თანაბრად განაწილებისა და ამ კანონით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით მედიამონიტორინგის განხორციელებას უზრუნველყოფს ცესკო უშუალოდ ან მომსახურების შესყიდვით **(საარჩევნო კოდექსი მუხლი 73[1] პუნქტი 10)**

თავი VI. კენჭისყრის დღე

დამკვირვებლებისა და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა უფლებები

კენჭისყრის დღეს ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებელი და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები შეუზღუდავად სარგებლობენ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებებით. რაც გულისხმობს უფლებას:

- ✓ დაესწროს და დააკვირდეს შესაბამისი საარჩევნო კომისიის სხდომებს;
- ✓ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს ნებისმიერი ადგილიდან;
- ✓ კენჭისყრის დღის ნებისმიერ დროს შეენაცვლოს თავისი წარმდგენი ორგანიზაციის სხვა რეგისტრირებულ წარმომადგენელს(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ✓ მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო ყუთების შემოწმებაში მათ დალუქვამდე და მათი გახსნის შემდეგ;
- ✓ დააკვირდეს ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა რეგისტრაციას, საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გაცემასა და მათ დამოწმებას კენჭისყრის პროცესისათვის ხელშეუშლელად,
- ✓ დააკვირდეს გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცედურას;
- ✓ დაესწროს ხმების დათვლისა და შედეგების შეჯამების პროცედურებს;
- ✓ დააკვირდეს ამომრჩეველთა ხმების დათვლას ისეთ პირობებში, რაც უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენის დანახვას;
- ✓ დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მიერ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და სხვა დოკუმენტების შედგენას;
- ✓ განცხადებით (საჩივრით) მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ხმის მიცემისა და კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლითაც კონკრეტული დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში მოითხოვს რეაგირებას;
- ✓ მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;
- ✓ გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის ქმედება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში;
- ✓ დააკვირდეს საარჩევნო ყუთს, საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტების ჩაყრას, საარჩევნო ყუთების გახსნას, საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და ოქმების შედგენას;
- ✓ გაეცნოს საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილ კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.
  (მუხლი 70 პუნქტი 1)

გარდა აღნიშნულისა უფლება აქვს:

- ✓ მოითხოვოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ქსეროასლი; (მუხლი 63 პუნქტი 8)
- ✓ კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცედურასთან დაკავშირებული პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები შეიტანოს ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე). (მუხლი 53 პუნქტი 9)
- ✓ ფარული კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება (მუხლი 67 პუნქტი 4).
- ✓ საქართველოს საარჩევნო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და წესით გაასაჩივროს საუბნო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები (მუხლი 77^1).

ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებელს და საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელს უფლება არა აქვს:

- ჩაერიოს საარჩევნო კომისიის ფუნქციებსა და საქმიანობაში (მუხლი70 პუნქტი 2, "ა" ქვეპუნქტი).
- გავლენა მოახდინოს ამომრჩეველთა მიერ ნების თავისუფალ გამოვლენაზე (მუხლი 70, პუნქტი 2, "ბ" ქვეპუნქტი).
- აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ (მუხლი 70, პუნქტი 2, ქვეპუნქტი "გ").
- ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი; (მუხლი 70 პუნქტი 2 ქვეპუნქტი "დ").
- კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში იმყოფებოდეს სამკერდე ნიშნის გარეშე;
- დაარღვიოს საარჩევნო კოდექსის სხვა მოთხოვნები.

გახსოვდეთ! კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დამკვირვებელი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას).

გახსოვდეთ!

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია კენჭისყრის შენობაში არ დაუშვას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები შესაბამისი სამკერდე ნიშნის გარეშე. (მუხლი 39 პუნქტი 1 ქვეპუნქტი " ზ[1]")

საარჩევნო უბნის გახსნა

კენჭისყრამდე ჩასატარებელი პროცედურები

საარჩევნო უბანი იხსნება კენჭისყრის დღის 7 საათზე. საარჩევნო უბნის გახსნის შესახებ ინფორმაცია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

თუ კომისიის წევრთა რაოდენობა შვიდზე ნაკლები აღმოჩნდა, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელიც დაუყოვნებლივ იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52).

თუ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს და მოადგილეს ერთდროულად ან კომისიის მდივანს დროებით არ შეუძლიათ მოვალეობის შესრულება, თუმცა კანონი ითხოვს გარკვეული მოქმედების შესრულებას, რომელიც თავმჯდომარის ან მდივნის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, საუბნო საარჩევნო კომისია თავისი შემადგენლობიდან დაუყოვნებლივ ირჩევს თავმჯდომარის/მდივნის მოვალეობის შემსრულებელს. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი კომისიის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას; ხოლო კომისიის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება შეწყდება, როგორც კი მდივანი შეძლებს თავისი უფლებამოსილების განხორციელებას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 22[1].5).

ჩანაწერთა წიგნის გახსნა

კომისიის თავმჯდომარე, კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბნის გახსნისთანავე ჩანაწერთა წიგნს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს, რომელსაც პირველ და მეორე გვერდებზე შეაქვს კენჭისყრის შენობაში მყოფი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების სახელი და გვარი მათი დამნიშვნელი სუბიექტის მითითებით; ასევე, კენჭისყრის

შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირის სახელი, გვარი, წარმდგენი ორგანიზაცია ან საარჩევნო სუბიექტი და ხელმოწერით ამოწმებინებს მას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.3.ა)).

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს უნდა ეკეთოს კომისიის წევრის სამკერდე ნიშანი (მოწმობა). საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დამკვირვებლებს, საარჩევნო სუბიექტების და პრესის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს უნდა მოსთხოვოს ეკეთოთ სააკრედიტაციო მოწმობები (სამკერდე ნიშნები) (საარჩევნო კოდექსი მუხლი 39.1.ზ[1])).

კომისიის თავმჯდომარე კომისიის მდივანს ასევე გადასცემს სადემონსტრაციო ოქმებს. სადემონსტრაციო ოქმები თვალსაჩინო ადგილას (კომისიის მდივნის მაგიდის სიახლოვეს) უნდა გამოიკრას. კომისიის მდივანი ამასთანავე აწარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალს.

წილისყრა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52)

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს შორის გასანაწილებელი ფუნქციებია:

1. ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი;
2. ამომრჩეველთა რეგისტრატორი (არანაკლებ ერთი რეგისტრატორი ყოველ 300 ამომრჩეველზე);
3. საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი;
4. გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის 2 წევრი, რომელიც არ უნდა იყვნენ ერთიდა იმავე პარტიის მიერ დანიშნულნი;

წილისყრაში მონაწილეობას არ იღებენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წილისყრის ჩატარებამდე უნდა შეადაროს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების რაოდენობა და გასანაწილებელი ფუნქციების რაოდენობა.

იმ შემთხვევაში, თუ წილისყრის ჩატარების დროს კომისიის წევრთა რაოდენობა აღმოჩნდა გასანაწილებელი ფუნქციებზე:

1) ერთით ნაკლები, მცირდება ამომრჩეველთა რეგისტრატორი კომისიის წევრების რაოდენობა.
2) ორით ნაკლები, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ასრულებს ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი კომისიის წევრის ფუნქციას.
3) სამით ნაკლები, კომისიის თავმჯდომარე ასრულებს საარჩევნო ყუთისა და კონვერტების ზედამხედველი კომისიის წევრის ფუნქციას.



წილისყრა ტარდება კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების თანდასწრებით. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს იმ კონვერტის მთლიანობას, რომელშიც მოთავსებულია საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭედი და ხსნის მას.

პირველ რიგში, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოსავლენად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:

- ✓ აანალიზებს, თუ პარტიების მიერ დანიშნული რამდენი კომისიის წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში;
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- ✓ 2 ფურცელზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს ფუნქციის დასახელებას "გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები";
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს მაგიდაზე;
- ✓ მიმართავს პარტიების მიერ დანიშნულ დამსწრე კომისიის წევრებს, სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები მაგიდიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

☝ იმ შემთხვევაში, თუ პარტიების მიერ დანიშნული კომისიის წევრებისგან რომელიმე უარს აცხადებს წილისყრაში მონაწილეობაზე, კომისიის თავმჯდომარე წილისყრას ატარებს დანარჩენ (პარტიების მიერ დანიშნულ) კომისიის წევრებს შორის; თუ, პარტიის მიერ დანიშნული კომისიის წევრი უარს აცხადებს წილისყრის შედეგად განაწილებული ფუნქციის შესრულებაზე, კომისიის თავმჯდომარე მას ჩაანაცვლებს წილისყრების შედეგად ფუნქციის გარეშე დარჩენილი კომისიის ნებისმიერი წევრით (სასურველია პარტიის მიერ დანიშნული წევრით). კომისიის მდივანი ჩანაცვლების ფაქტს ჩაწერს ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე.

გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებ კომისიის წევრთა გამოვლენის შემდეგ, კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას სხვა ფუნქციების გამოსავლენად:

- ✓ აანალიზებს, თუ რამდენი კომისიის წევრი მონაწილეობს წილისყრის პროცესში (თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის და გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები 2 წევრის გამოკლებით);
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- ✓ ფურცლებზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს ფუნქციების დასახელებას "ნაკადის მომწესრიგებელი, "რეგისტრატორი", "საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი";
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს მაგიდაზე;
- ✓ მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები მაგიდიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარის ნებართვით, წილისყრის შედეგად გამოვლენილი კომისიის წევრის ფუნქცია დროებით შეიძლება დაეკისროს კომისიის სხვა წევრს, რაც კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე დროის მითითებით უნდა აღნიშნოს.

თუ კომისიის რომელიმე წევრი კომისიაში გამოცხადდა წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, მისთვის ფუნქციის მინიჭების საკითხს წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.5).

ამომრჩეველთა რაოდენობის გამოცხადება



კომისიის თავმჯდომარე აცხადებს ამომრჩეველთა რაოდენობას ამომრჩეველთა ერთიან, სპეციალურ სიებში და ამომრჩეველთა სიის დანართში. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან სიაში შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.6) ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეიტანება კენჭისყრის დასრულების შემდეგ.

მიღებული საარჩევნო ბიულეტენების და კონვერტების რაოდენობის გამოცხადება

კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების პაკეტების მთლიანობას. აცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მიღებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების

რაოდენობას. მიღებული ბიულეტენების რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში დასადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.6 „ბ”)



საარჩევნო ყუთების დალუქვა

კომისიის თავმჯდომარე ამოწმებს და ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით ლუქავს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებს, რომლის ნომერი საარჩევნო კომისიის მდივანს შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის შესაბამის გრაფაში (52.6)

საარჩევნო ყუთები ისე უნდა იყოს დალუქული (ბიულეტენის ჩასაგდები ჭრილის გარდა), რომ მათი მთლიანობის დაურღვევლად შეუძლებელი იყოს მათში რაიმეს ჩადება ან ამოღება.

კომისიის წევრებისთვის მასალების გადაცემა

- კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა რეგისტრატორებს გადასცემს:
  - ✓ ანბანის მიხედვით დანაწილებულ ამომრჩეველთა ერთიან სიას (დაახლოებით 300 ამომრჩეველიან სიას);
    - ▪ თავმჯდომარემ თითოეულ სარეგისტრაციო მაგიდასთან უნდა გამოაკრას ამომრჩეველთა გვარების ანბანური თანმიმდევრობა (მაგიდაზე განლაგებული სიების შესაბამისად);
    - ▪ თითოეული რეგისტრატორისთვის გადაცემული ერთიანი სიის ანბანური თანმიმდევრობა კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე რეგისტრატორის სახელის და გვარის გასწვრივ.

  - ✓ ამომრჩეველთა სპეციალურ სიას (გადასცემს ერთ-ერთ რეგისტრატორს);
  - ✓ საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს (პროპორციული და მაჟორიტარული სისტემის არჩევნებისთვის; ქ. თბილისში დამატებით, მერის არჩევნებისთვის, ხოლო გურჯაანში, ოზურგეთსა და ჩუღურეთში დამატებით პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის); კომისიის თავმჯდომარე და მიმღები რეგისტრატორები ბლოკნოტების თავფურცელზე ხელმოწერით ადასტურებენ ბიულეტენების მიღება-ჩაბარებას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.7); საარჩევნო კომისიაში საარჩევნო ბიულეტენების შენახვისა და დანიშნულებისამებრ გაცემისთვის პირადად აგებენ პასუხს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი (საარჩევნო კოდექსი მუხლი 54.6).
  - ✓ რეგისტრატორის ბეჭედს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.8); *თავმჯდომარე ამოწმებს იმ პაკეტის მთლიანობას, სადაც მოთავსებულია რეგისტრატორის ბეჭდები; რეგისტრატორის ბეჭდებს ათავსებს მაგიდაზე, რეგისტრატორები სათითაოდ იღებენ ერთ ბეჭედს, რომლის კოდიც კომისიის მდივანს შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე რეგისტრატორის სახელის და გვარის გასწვრივ;*
  - ✓ შტამპს “არჩევნებიდან მოხსნილია (თუ *რეგისტრატორების რაოდენობა ერთზე მეტია, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, საჭიროების შემთხვევაში, თავად უსვამს ბიულეტენებს შტამპს რეგისტრატორებისთვის ბიულეტენების ბლოკნოტის გადაცემის წინ);*
  - ✓ *მარკირების სითხეს.*

- *კომისიის თავმჯდომარე ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის* წევრს გადასცემს მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს.
- კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველ კომისიის წევრს გადასცემს ძირითად საარჩევნო ყუთს და სპეციალურ კონვერტებს.

საკონტროლო ფურცლის შევსება

კენჭისყრის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანმიმდევრული მითითებით კომისიის მდივანი ავსებს საკონტროლო ფურცლებს (საარჩევნო კოდექსი მუხლი52.10). საკონტროლო ფურცელი წარმოადგენს კარბონირებულ, თვით-კოპირებად ქაღალდს, რომლის პირველი გვერდის შევსებისას იდენტურად ივსება შემდეგი 2 ეგზემპლარიც. საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა დამსწრე წევრმა ხელი უნდა მოაწეროს საკონტროლო ფურცელს.

კომისიის მდივანი პირველი ამომრჩევლის მოსვლის შემდეგ (უნდა შემოწმდეს ამომრჩეველი შეყვანილია თუ არა ამომრჩეველთა სიაში) საკონტროლო ფურცელში შეიტანს:

- ✓ პირველი ამომრჩევლის სახელსა და გვარს;
- ✓ პირველი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილს;
- ✓ პირველი ამომრჩევლის პირად ნომერს;
- ✓ საკონტროლო ფურცლების საარჩევნო ყუთებში ჩაშვების ზუსტ დროს.

კომისიის მდივანი მიუთითებს პირველ ამომრჩეველს ხელი მოაწეროს საკონტროლო ფურცელს.

კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე მიუთითებს საკონტროლო ფურცელში შეტანილ მონაცემებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ათავსებს საკონტროლო ფურცლებს დალუქულ ძირითად და გადასატან ყუთებში. საარჩევნო ყუთების გახსნის შემდეგ მათში არსებულ საკონტროლო ფურცლებთან შედარების მიზნით საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ინახავს საკონტროლო ფურცლის ერთ ცალს და პასუხისმგებელია მის დაცვასა და ნამდვილობაზე.

☝ იმ შემთხვევაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიაში არ ტარდება კენჭისყრა გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით, საკონტროლო ფურცელი მაინც ივსება ზემოაღწერილი წესით; შესაბამისად, თავმჯდომარე ინახავს საკონტროლო ფურცლის 2 ეგზემპლარს.

კენჭისყრის პროცესი



კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 08:00 საათიდან 20:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51).

ამომრჩეველთა ნაკადის მომწესრიგებელი

(საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.2):

- არეგულირებს საარჩევნო უბანში შემოსული ამომრჩევლების ნაკადს;
- სთხოვს ამომრჩეველს წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ან პასპორტი); არ დაუშვებს ამომრჩეველს კენჭისყრის შენობაში, თუ მას არ აღმოაჩნდება პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ულტრაიისფერი ფარნით ამოწმებს, აღენიშნება თუ არა ამომრჩეველს მარკირება.
  - ➢ იმ შემთხვევაში, თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, ის არ დაიშვება ხმის მისაცემად. ნაკადის მომწესრიგებელმა კომისიის თავმჯდომარეს უნდა აცნობოს ამომრჩევლის ვინაობა; კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში (მე-10 ან მომდევნო გვერდებზე) მიუთითებს აღნიშნულ ფაქტს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 56.2);
- ამოწმებს, თუ რამდენი ამომრჩეველი დგას ამომრჩევლისთვის განკუთვნილ სარეგისტრაციო მაგიდასთან.
  - ➢ თუ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი დგას, დროებით აყოვნებს ამომრჩეველს;.
- მიუთითებს ამომრჩეველს, სარეგისტრაციო მაგიდასთან მისვლისას იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- მიუთითებს ამომრჩეველს, მივიდეს იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც

მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი გვარის პირველი ასო.

ამომრჩეველთა რეგისტრატორი:



- სთხოვს ამომრჩეველს, წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი; იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში – დევნილის მოწმობა პირადობის მოწმობასთან (მოქალაქის პასპორტთან) ერთად (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.2.გ)).
  - დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი საბუთის წარდგენის გარეშე საარჩევნო ბიულეტენის გაცემა.
- ამოწმებს, არის თუ არა ამომრჩეველი შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან (ან სპეციალურ) სიაში და ადარებს ამომრჩეველის პირად ნომერს;
  - თუ სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი არ განეკუთვნება მოცემულ ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქს, ის მონაწილეობას იღებს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში;
  - ამომრჩეველი, რომლის პირადობის მოწმობაშიც არ არის მითითებული რეგისტრაციის ადგილი, მონაწილეობს მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში (თბილისში ასევე - თბილისის მერის არჩევნებშიც)
- უკეთებს ამომრჩეველს მარკირებას;
  - თუ ამომრჩეველი უარს განაცხადებს მარკირებაზე, ამომრჩეველი ვერ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას;
- თუ საარჩევნო ბიულეტენში შეყვანილი რომელიმე საარჩევნო სუბიექტი აღარ მონაწილეობს არჩევნებში, სუბიექტის დასახელების გასწვრივ უსვამს შტამპს წარწერით "არჩევნებიდან მოხსნილია" (საარჩევნო კოდექსი მუხლი 54.15);
- ხელმოწერით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებს (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე);
- რეგისტრატორის ბეჭდით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენებს (უკანა გვერდზე, ამისთვის განკუთვნილ ადგილზე);
- ადასტურებს ბიულეტენების გაცემას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით;
- სთხოვს ამომრჩეველს, ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენების მიღება ამომრჩეველთა სიაში თავისი გვარის გასწვრივ;
- გადასცემს ამომრჩეველს დამოწმებულ საარჩევნო ბიულეტენებს;
- მიუთითებს ამომრჩეველს შევიდეს ფარული კენჭისყრის კაბინაში.

ამომრჩეველი:

- შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში.



  - დაუშვებელია ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა ფარული კენჭისყრის კაბინაში.
  - კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე მოსთხოვონ უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.5);
- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია.
- ავსებს საარჩევნო ბიულეტენებს.
- კეცავს ბიულეტენებს ისე, რომ არ ჩანდეს, თუ ვის მისცა ხმა.

საარჩევნო ყუთისა და სპეციალური კონვერტების ზედამხედველი:

- ფარული კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ, მიუთითებს ამომრჩეველს, აიღოს ერთი სპეციალური კონვერტი და ჩადოს მასში გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები (მხოლოდ ამომრჩეველს აქვს უფლება ბიულეტენები მოათავსოს სპეციალურ კონვერტში);
  - კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს შეუძლიათ, მოსთხოვონ

ამომრჩეველს სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის ჩადებამდე უჩვენოს, თუ რამდენი ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს მას ხელთ. ამომრჩეველი ვალდებულია შეასრულოს ეს მოთხოვნა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.5). დაუშვებელია საარჩევნო ბიულეტენის კენჭისყრის შენობიდან გატანა.

- მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს, ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და მიუთითებს ამომრჩეველს მოათავსოს სპეციალური კონვერტი საარჩევნო ყუთში;
  - დაუშვებელია საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა;
- მიუთითებს ამომრჩეველს დატოვოს საარჩევნო უბანი.
  - ამომრჩეველი კენჭისყრის შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისთვის საჭირო დროის განმავლობაში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.6).

კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა აღრიცხვა

კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აქტივობის განსასაზღვრად, კომისიის მდივანი, რეგისტრატორების დახმარებით, დღის განმავლობაში ორჯერ (12:00 სთ-ზე და 17:00 სთ-ზე), ითვლის ამომრჩეველთა სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.6).

კომისიის მდივანს დაფიქსირებული მონაცემები შეაქვს სადემონსტრაციო ოქმებსა და კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში. კომისიის თავმჯდომარე 12:00 და 17:00 საათის ინფორმაციას კენჭისყრაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

კენჭისყრის პროცესი



1) ამომრჩეველი ვერ მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას, თუ:

- ამომრჩეველს უკვე აღენიშნება მარკირება;
- ამომრჩეველს არ აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- ამომრჩევლის პირადი ნომერი შედარებისას არ დაემთხვა სიაში მითითებულ ნომერს;
- ამომრჩეველმა წარადგინა ვადაგასული პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი;
- ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამ უბანზე არსებულ არცერთი სახის სიაში (გარდა საარჩევნო კოდექსის მუხლი 9.11[1] შემთხვევისა);
- ამომრჩეველმა უარი განაცხადა მარკირებაზე;
- ამომრჩეველის აქვს პირადობის დროებითი მოწომობა.

2) ამომრჩევლის რეგისტრაცია სპეციალურ სიაში



თუ ამომრჩეველი არ არის შეყვანილი ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში, მაგრამ ამომრჩეველი წარადგენს ცნობას საზღვრის გადაკვეთის შესახებ (ჩანაწერი პასპორტში), ცნობას სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ან ცნობას სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ და დასტურდება, რომ ის არის ამ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, ამომრჩეველს რეგისტრაციაში გაატარებს ამომრჩეველთა რეგისტრატორი საარჩევნო კოდექსი მუხლი 9.11[1]).

კომისიამ უნდა შეამოწმოს, წარმოდგენილი ცნობა გაცემულია კენჭისყრის დღემდე ბოლო 16 დღის განმავლობაში, ხოლო საზღვრის გადმოკვეთის შემთხვევაში რეგისტრატორმა უნდა შეამოწმოს ჩანაწერი პასპორტში (საზღვრის გადმოკვეთის თარიღი), რომელიც ასევე ბოლო 16 დღის განმავლობაში უნდა იყოს გაკეთებული. რეგისტრატორს ამომრჩეველი წარმოდგენილი ცნობისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (რეგისტრაციის მოწმობის) საფუძველზე შეჰყავს ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფოტოასლებს გადასცემს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს.

3) ამომრჩეველი ბიულეტენის შევსებისას საჭიროებს დახმარებას

თუ ამომრჩეველს არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენები, მას უფლება აქვს დახმარებისთვის მიმართოს ნებისმიერ სხვა, მისთვის სასურველ პირს, გარდა კომისიის წევრების, საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების, კანდიდატისა და დამკვირვებლებისა. (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.3). ამომრჩეველს, რომელიც დაეხმარა სხვა ამომრჩეველს ბიულეტენის შევსებისას, ეკრძალება გაამჟღავნოს მისი არჩევანი

4) ამომრჩეველს/კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი

თუ ამომრჩეველს ან რეგისტრატორს გაუფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მათ ამის შესახებ უნდა აცნობონ კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის თავმჯდომარის დავალებით, რეგისტრატორი ვალდებულია ამომრჩეველს შეუცვალოს გაფუჭებული ბიულეტენი ახლით. კომისიის თავმჯდომარემ გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს „გაფუჭებულია“ და ხელი მოაწეროს. კომისიის თავმჯდომარემ გაფუჭებული ბიულეტენი ცალკე უნდა შეინახოს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.4).

5) კომისიის წევრის ფუნქციის დროებით გადაცემა

თუ კომისიის რომელიმე წევრს არ შეუძლია წილისყრით მინიჭებული ფუნქციის შესრულება, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს ეს ფუნქცია დროებით გადასცეს სხვა კომისიის წევრს. კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-5 გვერდზე უნდა აღნიშნოს, რომელი კომისიის წევრით და რა დროით მოხდა ჩანაცვლება (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.3 "ზ").

6) კენჭისყრის შეწყვეტა

კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.3).

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია კენჭისყრის გაგრძელება და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას განკარგულებით კენჭისყრის შენობის ჩაკეტვის და კენჭისყრის შეჩერების შესახებ. განკარგულებაში აღინიშნება შენობის დროებითი ჩაკეტვის, კენჭისყრის შეჩერების ან მისი შეწყვეტის მიზეზები და დრო. თავმჯდომარეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ განკარგულების მიღებისთვის (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.4).



შენობის დროებით ჩაკეტვისა თუ კენჭისყრის შეჩერებისთანავე საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია მიიღოს განკარგულება კომისიის თავმჯდომარის განკარგულების დადასტურების ან მისი გაუქმების შესახებ.

შენობის დროებით ჩაკეტვის ან კენჭისყრის შეჩერების მიზეზების აღმოფხვრისთანავე კომისიის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას კენჭისყრის განახლებისა და კენჭისყრის შენობის გახსნის შესახებ.

საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს განკარგულება კენჭისყრის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ.

კომისიის მდივანს ჩანაწერთა წიგნის შესაბამის გრაფაში შეაქვს კენჭისყრის შეჩერების, გაგრძელების ან/და შეწყვეტის მიზეზი და დრო.

7) საარჩევნო ყუთის მთლიანობის დარღვევა

თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, საუბნო საარჩევნო კომისია აჩერებს კენჭისყრის პროცესს და განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.7):

- ყუთის ხელახლა დალუქვისა და კენჭისყრის გაგრძელების შესახებ;

ან

- კენჭისყრის პროცესის შეწყვეტისა და საარჩევნო უბნის დახურვის შესახებ.

კომისიის მდივანს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში (მე-10 და მომდევნო გვერდებზე) შეაქვს მომხდარი ფაქტის შინაარსი და საარჩევნო ყუთის ხელახალი დალუქვის დრო.

გახსოვდეთ, თუ კენჭისყრა შეწყვეტილად გამოცხადდა, იგი აღარ განახლდება.

8) კენჭისყრის დროზე ადრე დამთავრება

კენჭისყრის დღეს სამხედრო ნაწილებში, ძნელად მისადგომ ადგილებში, საავადმყოფოებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია კენჭისყრა დამთავრებულად გამოაცხადოს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.7).

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემა

გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით კენჭისყრა ტარდება კენჭისყრის დღეს 09:00 საათიდან 19:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 59.1).

სპეციალური სიიდან სიის დანართში გადმოყვანილი ამომრჩეველი მონაწილეობს როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემით ჩატარებულ არჩევნებში, თუ მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი და რეგისტრაციის ადგილი ერთი და იმავე ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 59.9).

კენჭისყრის დღის 9 საათიდან საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წილისყრით გამოვლენილ კომისიის 2 წევრს გადასცემს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 59.4):

- ამომრჩეველთა სიის დანართს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიას), რომლის საფუძველზეც წინასწარ უნდა განისაზღვროს გადასატანი საარჩევნო ყუთის მარშრუტი;
- რეგისტრატორის მიერ ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით დამოწმებულ საარჩევნო ბიულეტენების საჭირო რაოდენობას (თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს ბიულეტენების გაფუჭების შესაძლებლობა) და სპეციალურ კონვერტებს (*კომისიის მდივანმა ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე უნდა აღნიშნოს, რამდენი ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ კომისიის წევრს*);
- დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს, რომელშიც მოთავსებულია საკონტროლო ფურცელი.

გახსოვდეთ, მარკირება არ გამოიყენება გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთათვის (საარჩევნო კოდექსი მუხლი 56.5).

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, საკუთარი სურვილისამებრ, შეუძლიათ დაესწრონ გადასატანი ყუთის საშუალებით ხმის მიცემას.

გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემისას ავტომანქანის გამოყენების შემთხვევაში, საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია გამოყოს ადგილი ავტომობილში კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთაგან წილისყრით გამოვლენილი 2 მეთვალყურისთვის.

გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრა მთავრდება 19:00 საათზე. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი (ისე უნდა დაილუქოს, რომ შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე მისი გახსნა). კენჭისყრის დღის არა უგვიანეს 20:00 საათისა გადასატანი საარჩევნო ყუთი უნდა დაბრუნდეს საარჩევნო უბანში.

გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებმა კომისიის წევრებმა (კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ) საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა გადასცენ გამოუყენებელი ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები. კომისიის მდივანმა ასეთ ბიულეტენებს და სპეციალურ კონვერტებს უნდა ჩამოაჭრას კუთხე, დააწეროს "გაფუჭებულია" და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერის შემდეგ ცალკე შეინახოს.

ზუსტი აღრიცხვის მიზნით, *კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის მე-4 გვერდზე უნდა მიუთითოს გადასატანი საარჩევნო ყუთისთვის განკუთვნილი გამოუყენებელი ბიულეტენების და სპეციალური კონვერტების რაოდენობა.*

კენჭისყრის დღეს წესრიგის დაცვა კენჭისყრის შენობაში

კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვას ხელმძღვანელობს და მასზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ კენჭისყრის შენობაში წესრიგის დაცვის მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, კენჭისყრის შენობაში ყოფნის

უფლების მქონე ყველა პირისა და ამომრჩევლისთვის (საარჩევნო კოდექსი მუხლი 50.2).

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს, კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლისა და წესრიგის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი გააძევოს საუბნო საარჩევნო კომისიის განთავსების შენობიდან, რაზედაც დგება შესაბამისი აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და წევრები. აქტში აღინიშნება დამრღვევის სახელი და გვარი, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომრები, დარღვევის არსი და მისი ჩადენის ზუსტი დრო.

დაუშვებელია კენჭისყრის შენობაში შეიარაღებულ პირთა შესვლა.

თუ კენჭისყრის შენობაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საფრთხე ექმნება საარჩებნო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად კენჭისყრის ჩატარებას ან საარჩევნო დოკუმენტაციის უსაფრთხო გადაადგილებას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით შეიძლება გამოძახებულ იქნენ და კენჭისყრის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მუშაკები. საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის აღკვეთისთანავე და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის შემთხვევაში პოლიციის მუშაკები ტოვებენ კენჭისყრის შენობას და მის მიმდებარე ტერიტორიას.

საარჩევნო უბნის დახურვა

ზუსტად 20:00 საათზე საარჩევნო უბანი იკეტება. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით, კომისიის ერთ-ერთი წევრი ჩაინიშნავს რიგში მდგომი ამომრჩევლების გვარსა და სახელს და მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გამოაცხადებს, რომ კენჭისყრაში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ რიგში მდგომ ამომრჩევლებს; ხოლო მდივანი მათ რაოდენობას აღნიშნავს ჩანაწერთა წიგნში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.8).



იმავე კომისიის წევრმა დაგვიანებით მისულ ამომრჩევლებს უნდა განუმარტოს, რომ ისინი ვეღარ მიიღებენ კენჭისყრაში მონაწილეობას. თუ კენჭისყრის ოთახი იძლევა საშუალებას, კომისიის თავმჯდომარემ რიგში მდგომი ამომრჩევლები უნდა შემოიყვანოს კენჭისყრის ოთახში და ჩაკეტოს საარჩევნო უბანი.

როგორც კი ბოლო ამომრჩეველი მისცემს ხმას, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა პირმა, ხმების დათვლისას კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების გარდა, დატოვოს საარჩევნო უბანი. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში უნდა მიუთითოს ხმების დათვლის დროს კენჭისყრის შენობაში მყოფ პირთა ვინაობა.

გახსოვდეთ!

კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საარჩევნო ყუთში სპეციალური კონვერტის ჩასაგდები ჭრილი ილუქება.

სამხედრო ნაწილში გახსნილი საარჩევნო უბნის პროცედურები

სპეციალურ სიაში შეყვანილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც კენჭისყრის დღეს განთავსებული არიან შესაბამის დისლოკაციის ადგილზე, არჩევნების დღისთვის მუდმივი წესით 1 წლით ან 1 წელზე მეტი ვადით, მონაწილეობენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული წესით ჩატარებულ არჩევნებში;

სპეციალურ სიაში შეყვანილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც კენჭისყრის დღეს განთავსებული არიან მუდმივი დისლოკაციის ადგილზე, არჩევნების დღისთვის 1 წელზე ნაკლები ვადით, მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათი რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნება შესაბამისი ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის საზღვრებს. (აღნიშნული წესი არ

ეხება შუალედურ არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებს.)

სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურა ტარდება ზოგადი პროცედურების დაცვით. ხოლო ხმების დათვლას ახორციელებს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული საუბნო საარჩევნო კომისია, ე.წ. ძირითადი უბანი (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.6). ძირითადი და მასზე მიმაგრებული "სამხედრო უბნის" შედეგები ითვლება ერთად და ფორმდება ერთი ოქმით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.8); შესაბამისად, ძირითადი საარჩევნო უბანი მიმაგრებული სამხედრო უბნიდან საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემამდე არ იწყებს საარჩევნო ბიულეტენების დათვლას და არ ავსებს მონაცემებს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს 20 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.7).

სამხედრო უბანში კენჭისყრის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისია ლუქავს საარჩევნო ყუთის ჭრილს და ითვლის ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერების რაოდენობას, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობას და მონაცემები შეაქვს ჩანაწერთა წიგნში. საუბნო საარჩევნო კომისია განცალკევებულ კონვერტებში სახეობების მიხედვით ლუქავს:

- ამომრჩეველთა სპეციალურ სიას;
- გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს;
- გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს;
- ჩანაწერთა წიგნს, სარეგისტრაციო ჟურნალს და საჩივრებს;
- კომისიის ბეჭედს და რეგისტრატორების ბეჭდებს;
- საკონტროლო ფურცელს;
- სპეციალურ კონვერტებს.

კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო. აღნიშნული კონვერტები და სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია/ინვენტარი თავსდება ერთ დიდ ტომარაში. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და უფლებამოსილი პირები დალუქულ დოკუმენტაციას, საარჩევნო ყუთს და სხვა ინვენტარს დაუყოვნებლივ გადასცემს მიმაგრებულ საუბნო საარჩევნო კომისიას. ძირითადი საარჩევნო უბანი, 20:00 სთ-ის შემდეგ საარჩევნო უბნის დახურვის მიუხედავად, ვალდებულია შემოუშვას სამხედრო უბნიდან საარჩევნო დოკუმენტაციის თანმხლები კომისიის წევრები (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.9).

☝ იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ნაწილში გახსნილ საარჩევნო უბანში კენჭისყრა დამთავრებულად გამოცხადდა 20:00 საათამდე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 51.7), სამხედრო უბანი ყველა ზემო აღნიშნული პროცედურის გავლის შემდგომ დოკუმენტაციას მიიტანს ძირითად საარჩევნო უბანში.

☝ **გახსოვდეთ:**

იმ შემთხვევაში, თუ კენჭიყრის დღეს საარჩევნო უბანზე მიმაგრებულია გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი საარჩევნო უბანი, ძირითადი საარჩევნო უბნის კომისია ვალდებულია დაელოდოს ასეთი უბნიდან საარჩევნო ყუთისა და დოუმენტაციის მოტანას და მხოლოდ ამის შემდგეგ გახსნას ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები.

ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო უბნის დახურვის პროცედურების დასრულების შემდეგ ატარებს წილისყრას მთვლელების გამოვლენის მიზნით და იწყებს საარჩევნო ყუთების გახსნამდე ჩასატარებელ პროცედურებს. „მიმაგრებული" საარჩევნო უბნის საარჩევნო ყუთი იხსნება მას შემდეგ, რაც გაიხსნება ძირითადი საარჩევნო უბნის გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთები (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.8).

საარჩევნო ყუთებში არსებული სპეციალური კონვერტების შერევამდე საუბნო

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სამხედრო უბნიდან შემოსული საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით:

1. ამოწმებს მონაცემების სისწორეს ჩანაწერთა წიგნში მითითებული მონაცემების საფუძველზე: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას + გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა + ხელმოწერების რაოდენობა = მიღებული ბიულეტენების რაოდენობისა; თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ სიაში ხელმოწერების რაოდენობა, გამოუყენებელი და გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

   ☝ იმ შემთხვევაში, თუ ტოლობა არ შედგა, საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას.

2. ჩანაწერთა წიგნში მითითებულ მონაცემებს ადარებს საარჩევნო ყუთის ლუქის ნომრებს;

   ☝ თუ ლუქის ნომერი განსხვავდება ჩანაწერთა წიგნში მითითებული ნომრისგან, საარჩევნო ყუთი დაილუქება, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. ხსნის საარჩევნო ყუთს;

   ☝ თუ საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება შედეგების შეჯამების პროცედურა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.2). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას სამხედრო უბნიდან შემოსული ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ, რომელსაც ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას;

4. საარჩევნო ყუთში არსებულ საკონტროლო ფურცელს ადარებს შენახულ ეგზემპლარს.

   ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, ყველა სპეციალურ კონვერტს დაეწერება „ბათილია", დაუყოვნებლივ შეიფუთება და დაილუქება. კომისია მიიღებს განკარგულებას სამხედრო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვასთან დაკავშირებით; ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სამხედრო უბნიდან შემოსული დალუქული დოკუმენტაცია წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 58.5);

5. შურევს სპეციალურ კონვერტებს ძირითადი საარჩევნო უბნის სპეციალურ კონვერტებს და იწყებს დახარისხებას/დათვლას;

სამხედრო უბნის საარჩევნო დოკუმენტაციის თანმხლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან დაესწრონ შედეგების შეჯამებას ძირითად საარჩევნო უბანზე.

ძირითადი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ძირითადი და სამხედრო უბნის მონაცემებს აჯამებს და ისე შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.8).

წილისყრა



კენჭისყრის დასრულებისთანავე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ატარებს წილისყრას მთვლელების გამოვლენის მიზნით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.1, საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.3):

- ✓ აანალიზებს, თუ რამდენი კომისიის წევრი იღებს წილისყრის პროცესში მონაწილეობას (თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი წილისყრაში არ იღებენ მონაწილეობას);
- ✓ მათი რაოდენობის შესაბამისად ამზადებს ერთი ფორმისა და სახეობის (ფერის) ფურცლებს;
- ✓ მათგან 3 ფურცელზე ერთი და იმავე ფერის საწერი კალმით წერს: "პირველი მთვლელი", "მეორე მთვლელი" და "მესამე მთვლელი"; (1. გურჯაანსა და ოზურგეთში დამატებით "მეოთხე" მთვლელი პარლამენტის შუალედური არჩევნების ბიულეტენებისათვის, 2. ქ. თბილისში, დამატებით "მეოთხე მთვლელი" თბილისის მერის არჩევნების ბიულეტენისათვის, 3. ჩუღურეთში დამატებით "მეხუთე" მთვლელი პარლამენტის შუალედური არჩევნების ბიულეტენებისათვის),
- ✓ ყველა ფურცელს ამოწმებს კომისიის ბეჭდით;
- ✓ ყველა ფურცელს კეცავს ისე, რომ მათზე ტექსტის წაკითხვა შეუძლებელი იყოს და ათავსებს მაგიდაზე;
- ✓ მიმართავს წილისყრაში მონაწილე კომისიის წევრებს, სათითაოდ აიღონ წილისყრის ფურცლები მაგიდიდან.

კომისიის მდივანს წილისყრის შედეგი შეაქვს ჩანაწერთა წიგნის მე-3 გვერდზე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 52.3).

საარჩევნო უბანში მყოფი დამკვირვებლები ურთიერთშეთანხმებით არჩევენ ორ მეთვალყურეს, რომლებიც დააკვირდებიან ხმების დათვლის პროცედურას მთვლელების გვერდით. თუ დამკვირვებლებმა ურთიერთშეთანხმებით ვერ შეარჩიეს ორი მეთვალყურე, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში მყოფი დამკვირვებლებისგან წილისყრით გამოავლენს ორ მეთვალყურეს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.1).

საარჩევნო უბნის მომზადება საარჩევნო ბიულეტენების დასათვლელად

კომისიის თავმჯდომარე და მთვლელები ხმების დასათვლელად ამზადებენ საარჩევნო უბანს: მთვლელები იკავებენ ადგილს მაგიდის ერთ მხარეს; ერთი მეთვალყურე დგება მეორე მთვლელის გვერდით, ხოლო მეორე მეთვალყურე მესამე მთვლელის გვერდით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.2); კომისიის თავმჯდომარე იკავებს ადგილს ისე, რომ მან შეძლოს ყველა მთვლელის დანახვა; კომისიის მდივანი ადგილს იკავებს თავმჯდომარის გვერდით და ავსებს ჩანაწერთა წიგნს.

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე დანარჩენი პირები ადგილს იკავებენ მაგიდისგან (მთვლელებისგან) ორი მეტრის დაშორებით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.3).

კომისიის თავმჯდომარემ უნდა გაითვალისწინოს, რომ მაგიდაზე, რომელზეც მიმდინარეობს დათვლა, არ იდოს ზედმეტი დოკუმენტაცია, საწერი საშუალება; ასევე, მაგიდას არ ჰქონდეს გადასაფარებელი.

კომისიის თავმჯდომარემ მთვლელების მაგიდასთან უნდა მიიტანოს:

- ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია და სიის დანართი;
- გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები;
- გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები;
- ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები;
- შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცელი;
- სანთლები, ფარანი (ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევისთვის);

- კალკულატორი. \

საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელი პროცედურები

კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ თანმიმდევრობით შემდეგი მონაცემები(საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.2) (რომლებიც კომისიის მდივანს, თავმჯდომარესთან შეთანხმებით, დაუყოვნებლივ შეაქვს ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმებში):

I. ამომრჩეველთა რაოდენობა ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში;

II. ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიან სიაში, სპეციალურ სიასა და ამომრჩეველთა სიის დანართში. აღნიშნული მონაცემები ჯამდება და მიღებული რაოდენობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნსა და სადემონსტრაციო ოქმებში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.2).

III. გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.3. „ა”).

IV. გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.3. „ბ”).

მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით, კომისიის მდივანი ამოწმებს:

- ✓ მიღებული ბიულეტენების რაოდენობას – ხელმოწერების რაოდენობა – გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა = გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას. თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს გადაითვალონ:
  1. ყველა სახის სიაში ხელმოწერების რაოდენობა;
  2. გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა;
  3. გაფუჭებული ბიულეტენების რაოდენობა.

კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს ცალ-ცალკე კონვერტებში დალუქონ:

- ➢ ამომრჩეველთა ერთიანი სია, სპეციალური სია (ასევე, კენჭისყრის დღეს სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ასლები) და ამომრჩეველთა სიის დანართი. კონვერტებს ზემოდან ეწერება საარჩევნო დოკუმეტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქისა და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.2, 60.5).
- ➢ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტები. კონვერტის თავფურცელზე იწერება არჩევნების სახეობა (პროპორციული ან მაჟორიტარული), საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი მუხლი 60.4).
- ➢ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები. კონვერტის თავფურცელზე იწერება



არჩევნების სახეობა (პროპორციული ან მაჟორიტარული), საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

- ➢ რეგისტრატორების ბეჭდები და შტამპი; კონვერტს

დაეწერება საარჩევნო ინვენტარის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

საარჩევნო დოკუმენტაციის ყოველი შეკვრა ილუქება იმგვარად, რომ ლუქის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს შეკვრიდან დოკუმენტაციის ამოღება ან ჩადება.

საარჩევნო ყუთების გახსნა

I. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:

1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.1).

   ☝ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ საუბნო საარჩევნო კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.2). წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია განკარგულებით მიიღებს გადაწყვეტილებას ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქული გადასატანი ყუთი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას;

2. ხსნის გადასატან საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს, რომ სპეციალური

კონვერტები განათავსონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესადარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს; მიუთითებს მდივანს შეინახოს გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცელი ხმების დათვლის დამთავრებამდე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.4);

- ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, გადასატან ყუთში აღმოჩენილი ყველა სპეციალურ კონვერტი და ბიულეტენები შეიკვრება პაკეტად და დაეწერება „ბათილია",. კომისია ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ დალუქულ კონვერტებს სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.4);

3. მიუთითებს მთვლელებს დაითვალონ გადასატან საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი კონვერტების რაოდენობა, რომელსაც უდარებს ამომრჩეველთა სიის დანართში ხელმომწერ ამომრჩეველთა რაოდენობას;

- ☝ თუ კონვერტების რაოდენობა ხელმოწერების რაოდენობაზე მეტი აღმოჩნდა, გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული კონვერტები ილუქება, ეწერება „ბათილია"; კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას არსებული კონვერტების დალუქვის შესახებ და ხმის დათვლის პროცედურების დასრულების შემდეგ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.4).

4. მიუთითებს მთვლელებს დროებით დააბრუნონ სპეციალური კონვერტები გადასატან საარჩევნო ყუთში;

II. კომისიის თავმჯდომარე ძირითადი საარჩევნო ყუთის გახსნის მიზნით ატარებს შემდეგ პროცედურას:

1. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს ძირითადი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობას.

- ☝ თუ ლუქის მთლიანობა დარღვეული აღმოჩნდა, მაგრამ კომისია მიიჩნევს, რომ ამას არ გამოუწვევია საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა, კომისიის განკარგულებით გრძელდება კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურა. წინააღმდეგ შემთხვევაში, საარჩევნო ყუთი ილუქება და საარჩევნო ყუთი, სხვა საარჩევნო დოკუმენტაცია და კომისიის განკარგულება, ყუთისა და საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის გადაწყვეტილების შესახებ, დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.2)

2. ხსნის ძირითად საარჩევნო ყუთს; მიუთითებს მთვლელებს სპეციალური კონვერტები განათავსონ მაგიდაზე, რის შემდეგაც ამოწმებს საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებს შესადარებლად შენახულ საკონტროლო ფურცელს;

- ☝ თუ საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან ის არსებითად განსხვავდება შესადარებლად შენახული საკონტროლო ფურცლისგან, ყველა სპეციალური კონვერტი და საარჩევნო ბიულეტენი შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი. კომისია მიიღებს განკარგულებას ყველა საარჩევნო დოკუმენტაციის დაილუქვის შესახებ, რომელიც დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას (საარჩევნო კოდექსი მუხლი 61.5).

3. მიუთითებს მდივანს შეინახოს ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში აღმოჩენილი საკონტროლო ფურცლები ხმების დათვლის დამთავრებამდე;

III. კომისიის თავმჯდომარე მიუთითებს მთვლელებს აურიონ ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთებიდან გადმოყრილი სპეციალური კონვერტები.

☝ ამომრჩევლის მიერ ნების გამოვლენის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენში ნებისმიერი ფორმით შესწორების, ცვლილების ან დამატების შეტანა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.4).(სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე)

საარჩევნო ბიულეტენების დახარისხება

მთვლელები საარჩევნო ბიულეტენებს ახარისხებენ შემდეგი წესის დაცვით (იხ. დახარისხების დიაგრამა):



I. პირველი მთვლელი სპეციალური კონვერტიდან იღებს საარჩევნო ბიულეტენებს;

☝ თუ კონვერტში აღმოჩნდა დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენი (საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი ნებისმიერი სახის ფურცელი, რომელიც არ შეესაბამება ცესკო-ს მიერ ოფიციალურად დადგენილ ფორმას), მას ცალკე გადადებს (დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები დალუქვის გარეშე წარედგინება საოლქო საარჩევნო კომისიას).

II. პირველი მთვლელი ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობას და აცხადებს ვისთვისაა ხმა მიცემული მაჟორიტარული და პროპორციული (ქ. თბილისში დამატებით მერის, ჩუღურეთში, გურჯაანსა და ოზურგეთში დამატებით პარლამენტის შუალედური არჩევნების) არჩევნების მიხედვით; ან მისი ბათილობის შემთხვევაში აცხადებს ბათილობის მიზეზს. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია იმ შემთხვევაში, თუ (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.3):

1) საარჩევნო ბიულეტენი დამოწმებული არ არის რეგისტრატორის ხელმოწერითა და სპეციალური ბეჭდით;

2) შეუძლებელია იმის დადგენა, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ხმა ამომრჩეველმა (ამომრჩეველმა ხმა არ მისცა არცერთ სუბიექტს, ან ხმა მისცა ერთზე მეტ სუბიექტს, ყველა გადახაზა და სხვ.);
3) სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდა დადგენილ რაოდენობაზე მეტი ბიულეტენი; (იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურ კონვერტში აღმოჩნდება ერთი სახის, დადგენილ რაოდენობაზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი ბათილად ჩაითვლება მხოლოდ ასეთი სახის ბიულეტენები. რაც შეეხება ასეთ დროს სპეციალურ კონვერტში დარჩენილ სხვა სახის ბიულეტენებს, ისინი ჩაითვლება ნამდვილად.)
4) სპეციალური კონვერტი არ არის დადგენილი ნიმუშის;
5) საარჩევნო ბიულეტენი საარჩევნო ყუთში აღმოჩნდა სპეციალური კონვერტის გარეშე;
6) საარჩევნო ბიულეტენი განკუთვნილი იყო სხვა საარჩევნო უბნისთვის.

ბათილად არ უნდა ჩაითვალოს ის საარჩევნო ბიულეტენი, რომელშიც აშკარაა ამომრჩევლის განზრახვა, ხმა მისცეს რომელიმე სუბიექტს.

გახსოვდეთ:

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას-მუნიციპალიტეტებში უნდა იყოს 2 საარჩევნო ბიულეტენი (პროპორციული , მაჟორიტარული), გურჯაანსა და ოზურგეთში სამი სახის (მაჟორიტარული, პროპორციული და პარლამენტის შუალედური) თბილისში – სამი სახის (პროპორციული, მაჟორიტარული, თბილისის მერი), ჩუღურეთში – 4. (პროპორციული, მაჟორიტარული, თბილისის მერი და პარლამენტის შუალედური არჩევნების ბიულეტენი).

☝ იმ შემთხვევაში, თუ კომისიის რომელიმე წევრი, ან კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე რომელიმე პირი, არ დაეთანხმება პირველი მთვლელის გადაწყვეტილებას ბიულეტენის ნამდვილობის შესახებ, ასეთი ბიულეტენი გადაიდება ცალკე – საეჭვოდ მიჩნეულ ბიულეტენებში (მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა) (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.2).

III. პირველი მთვლელი აწვდის პროპორციულ ბიულეტენს მეორე მთვლელს, ხოლო მაჟორიტარულ ბიულეტენს – მესამე მთვლელს (გურჯაანსა და ოზურგეთში პარლამენტის შუალედური არჩევნების ბიულეტენს – მეოთხე მთვლელს, ქ. თბილისში მერის არჩევნების ბიულეტენს – მეოთხე მთვლელს, ხოლო ჩუღურეთში მერის არჩევნების ბიულეტენს მეოთხე მთვლელს და პარლამენტის შუალედური არჩევნების ბიულეტენს - მეხუთე მთვლელს), ხოლო სპეციალურ კონვერტს გადადებს ცალკე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.1.ა));

IV. მეორე და მესამე მთვლელები ახარისხებენ საარჩევნო ბიულეტენებს საარჩევნო სუბიექტებისთვის მიცემული ხმების, ბათილი ბიულეტენების და საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების მიხედვით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.1.ბ));

V. საარჩევნო ბიულეტენების დახარისხების დასრულების შემდეგ, კომისი განიხილავს და კენჭისყრით წყვეტს საეჭვოდ მიჩნეული ბიულეტენების ნამდვილობის საკითხს. ნამდვილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენს კომისიის თავმჯდომარე დებს ნამდვილი ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემული ხმის მიხედვით), ხოლო ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენს – ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების დასტაში (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.5);

VI. კომისიის თავმჯდომარე ბათილ საარჩევნო ბიულეტენებს ზემოდან აწერს „ბათილია“ და ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.6).

საარჩევნო ბიულეტენების დათვლა

ბიულეტენების დახარისხების შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს დაითვალონ:

1. ბათილი საარჩევნო ბიულეტენები;
2. საარჩევნო სუბიექტების მიხედვით დახარისხებული ბიულეტენები.
   - პირველი და მეორე მთვლელები ითვლიან დახარისხებულ საარჩევნო ბიულეტენებს და აწყობენ ათ-ათ ცალად ერთმანეთზე ჯვარედინად. მესამე მთვლელი ხელახლა ითვლის/ამოწმებს ათ-ათ ცალად დაწყობილ საარჩევნო ბიულეტენებს.

კომისიის თავმჯდომარე აცხადებს თითოეული საარჩევნო სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობას მაჟორიტარული და პროპორციული არჩევნების მიხედვით. კომისიის მდივანს ეს მონაცემები შეაქვს კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნში და სადემონსტრაციო ოქმებში.

კომისიის მდივანი კომისიის თავმჯდომარესთან ერთად მონაცემების სისწორის გადამოწმების მიზნით ამოწმებს :

- ✓ სუბიექტების მიერ მიღებული ხმების საერთო რაოდენობას + ბათილი ბიულეტენების რაოდენობა <= ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის. თუ ტოლობა არ შედგა, კომისიის თავმჯდომარემ მთვლელებს უნდა მიუთითოს გადაითვალონ:
  - საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/ბიულეტენები; და
  - ბათილი საარჩევნო ბიულეტენები.

თუ ტოლობა მაინც ვერ იქნა მიღებული, კომისიის მდივანმა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი უნდა შეავსოს ხელთ არსებული დოკუმენტაციის/მონაცემების საფუძველზე.

საარჩევნო ბიულეტენების დალუქვა

საარჩევნო ბიულეტენების დათვლის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე მთვლელებს მიუთითებს შეკრან და დალუქონ:

- ბათილი საარჩევნო ბიულეტენები; სხვა საარჩევნო უბნისთვის განკუთვნილი ბათილი ბიულეტენები ცალკე იკვრება და მათი რაოდენობა აღინიშნება მხოლოდ ჩანაწერთა წიგნში. მთვლელებმა კონვერტს უნდა დააწერონ არჩევნების სახეობა, საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა (ბათილი საარჩევნო ბიულეტენები), კონვერტში მოთავსებული ბიულეტენების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.6, საარჩევნო კოდექსი მუხლი 3.ჩ[2]);

- საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები; მთვლელებმა ათ-ათად დაწყობილი საარჩევნო ბიულეტენები უნდა შეკრან ლითონის შემკვრელით („სტეპლერით“). ყოველ შეკვრას, როგორც სრულს, ისე არასრულს, ზემოდან უნდა დააწერონ შეკრული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმები/საარჩევნო ბიულეტენები ცალ-ცალკე იდება კონვერტებში. თითოეულ კონვერტს მთვლელებმა უნდა დააწერონ არჩევნების სახეობა, საარჩევნო სუბიექტის დასახელება, სუბიექტის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო (საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.8, საარჩევნო კოდექსი მუხლი 62.9);

- საარჩევნო ყუთებიდან ამოღებული საკონტროლო ფურცლები, ასევე შესადარებელი საკონტროლო ფურცელი. კონვერტს დაეწერება საარჩევნო დოკუმენტაციის სახეობა, საარჩევნო ოლქის და უბნის ნომერი. კონვერტის დალუქვის ზოლზე ხელს აწერენ მთვლელები და კომისიის თავმჯდომარე და მიეთითება დალუქვის თარიღი და დრო.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსება

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი საარჩევნო ბიულეტენების დალუქვის შემდეგ (საარჩევნო კოდექსი მუხლი 63.1) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით ავსებს შემაჯამებელ ოქმებს (იხ. დანართი №1);

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შესული ყველა მონაცემი უნდა გამოცხადდეს ხმამაღლა, ყველას გასაგონად.

თუ შემაჯამებელი ოქმის შევსებისას კომისიის მდივანი დაუშვებს შეცდომას, შეცდომით შევსებული მონაცემის გასწვრივ მაშინვე აკეთებს წარწერას „შესწორებულია“. კომისიის მდივანი ავსებს შესწორების ოქმის ფორმას (იხ. დანართი №2), მასში აღნიშნავს შემაჯამებელ ოქმში შეცდომით შეტანილ მონაცემს და მის გასწვრივ მიუთითებს სწორ მონაცემს.

კომისიის მდივანი შესწორების ოქმში მიუთითებს მისი შედგენის თარიღსა და დროს; ოქმს ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი; კომისიის თავმჯდომარე უსვამს ბეჭედს. შესწორების ოქმი დაერთვება იმ შემაჯამებელ ოქმს, რომელში შეტანილი მონაცემიც შესწორდა (საარჩევნო კოდექსი მუხლი 55.4).

კომისიის მდივანი შესწორების ოქმს რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის “გასული დოკუმენტაციის” ნაწილში და ანიჭებს რეგისტრაციის ნომერს. კომისიის მდივანი მიუთითებს შესწორების ოქმის შევსების თარიღსა და დროს, ორგანიზაციის დასახელებას (საუბნო საარჩევნო კომისია), დოკუმენტის შინარსს (მაგ. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმის შესწორების ოქმი); მდივანი ხელს აწერს გრაფაში “ დოკუმენტის გამტანის ხელმოწერა”.

☝ შემაჯამებელ ოქმში შეტანილი მონაცემების გადასწორება იწვევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას თითოეულისა 2000 ლარის ოდენობით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[26]). ხოლო ასეთი ოქმის ბათილობის საკითხს განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისია (საარჩევნო კოდექსი მუხლი 55.3).

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი ხელს აწერს შემაჯამებელ ოქმებს; ოქმზე ხელის მოწერა სავალდებულოა, რადგან ამით დასტურდება მათი დასწრება (ყოფნა) კომისიის სხდომაზე. საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოქმებს ამოწმებს კომისიის ბეჭდით (საარჩევნო კოდექსი მუხლი 63.4).

თუ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმს წერილობით დაურთოს განხსვავებული აზრი, ასევე ჩანაწერი გააკეთოს შემაჯამებელ ოქმში „განსხვავებული აზრის“ გრაფაში და მოაწეროს ხელი ოქმს (საარჩევნო კოდექსი მუხლი 63.5).

კომისიის მდივანი შემაჯამებელ ოქმებზე ხელმოწერების და ბეჭდის დასმის შემდეგ, ოქმებს (დედანს) ატარებს რეგისტრაციაში სარეგისტრაციო ჟურნალის “გასული დოკუმენტაციის” ნაწილში და ოქმებს ანიჭებს სარეგისტრაციო ნომრებს. კომისიის მდივანი მიუთითებს ოქმების შევსების თარიღსა და დროს, ორგანიზაციის დასახელებას (საუბნო საარჩევნო კომისია), დოკუმენტის შინარსს (მაგ. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი მაჟორიტარული ოქმი); მდივანი ხელს აწერს გრაფაში “ დოკუმენტის გამტანის ხელმოწერა”.

ამონარიდი საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან

მუხლი 126[18]. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება კანონის დარღვევით

ამ კანონის 73-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა მიერ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის მიღება– ***გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.***

მუხლი 126[19]. წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა

ამ კანონით დადგენილი წესით წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო და სხვა მასალების გავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა, აგრეთვე სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილ სხვა საშუალებათა ჩამორთმევა ან წინასაარჩევნო აგიტაციის მიზნით მათი გამოყენებისათვის ხელის შეშლა – **გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[20]. საარჩევნო კამპანიის ჩატარება ამ საქმიანობისათვის აკრძალულ დაწესებულებებში

საარჩევნო კამპანიის ჩატარება იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებიც აკრძალულია ამ კანონით, და ასეთი ნებართვის გაცემა უფლებამოსილი პირის მიერ – **გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[21]. არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნების წესების დარღვევა

კანონით დადგენილ ვადებში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება სავალდებულო ინფორმაციის გარეშე ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებული სხვა წესების დარღვევა –**გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[22]. პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის კანონით დადგენილი ვალდებულების დარღვევით განთავსება

წინასაარჩევნო აგიტაციასთან, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასა და ინფორმაციის გადაცემასთან(ან გამოქვეყნებასთან) დაკავშირებული ამ კანონის მოთხოვნათა დარღვევა–**გამოიწვევს ელექტრონული მედიის საშუალების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით, ხოლო ბეჭდვითი მედიის საშუალებისას – 500 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[23]. საარჩევნო კამპანიის ფონდში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულების მიღება ან/და შემოწირულების თაობაზე ინფორმაციის დამალვა

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდში საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულების მიღება – **გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემოწირულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემოწირულების კონფისკაციას.**
2. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების მიერ საარჩევნო კამპანიის ფონდში კანონით აკრძალული ფინანსური და მატერიალური შემოწირულების თაობაზე ინფორმაციის დამალვა – **გამოიწვევს აკრძალული ფინანსური შემოწირულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემოწირულების კონფისკაციას და დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით.**
3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი

მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, – **გამოიწვევს შესაბამისად აკრძალული ფინანსური შემოწირულების საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვას ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მატერიალური შემოწირულების კონფისკაციას და დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[24]. საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა

1. საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიშის წარდგენის კანონით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა – **გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით**.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი მოქალაქეთა იმ პოლიტიკური გაერთიანების მიერ, რომელიც იღებს სახელმწიფო დაფინანსებას, – **გამოიწვევს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[25]. საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის მასალების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

საარჩევნო, სარეფერენდუმო ან საპლებისციტო კომისიებისათვის საჭირო მასალების და მონაცემების წარდგენაზე უარის თქმა ან მათი გადაწყვეტილების შეუსრულებლობა –
გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

მუხლი 126[26]. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება

კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებში შეტანილი მონაცემების გადასწორება – **გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას – თითოეულისა 2000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[27]. წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების აკრძალვა

წინასაარჩევნო აგიტაციისას და კამპანიისას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისას ამ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა – **გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[28]. არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემაჯამებელი ოქმის ასლის გაუცემლობა

არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის შემაჯამებელი ოქმის ასლის გაცემის ამ კანონით დადგენილი წესების დარღვევა – **გამოიწვევს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან/და მდივნის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[29]. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა

კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირისათვის ჩანაწერთა წიგნში ჩანაწერის შეტანაში ხელის შეშლა–**გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.**

საარჩევნო კოდექსი მუხლი 126[30]. დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების უფლებების შეზღუდვა

ადგილობრივი/საერთაშორისო დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ამ კანონით დადგენილი უფლებების შეზღუდვა ან მათი საქმიანობისათვის ხელის შეშლა–**გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.**

მუხლი 126[31]. დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ მათთვის დაკისრებული მოვალეობებისა და მოთხოვნების დარღვევა

დამკვირვებლის, საარჩევნო სუბიექტისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების მიერ ამ კანონის 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“–„დ“ ქვეპუნქტებით დაკისრებული მოთხოვნების დარღვევა– **გამოიწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.**

ამონარიდი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან

მუხლი 174[3]. საარჩევნო კომისიაში მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს

საარჩევნო კომისიების მუშაობაში ჩარევა არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის ჩატარების დროს, რაც გამოიხატება საარჩევნო უბნებში ხმის მიცემის, პარლამენტის ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატის, პარტიის ან რეფერენდუმის მოწყობის საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციის, საარჩევნო უბნებსა და ოლქებში ხმების დათვლისა და არჩევნების, რეფერენდუმის ან პლებისციტის საერთო შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულებისათვის ხელის შეშლაში, -

გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდან სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ოთხ მინიმალურ ოდენობამდე.

მუხლი 174[6]. წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილებში იარაღით მისვლა

წინასაარჩევნო აგიტაციის ან ხმის მიცემისათვის გამოყოფილ ადგილას ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღით, ანდა საბრძოლო მასალით მისვლა, თუ ეს დაკავშირებული არ არის სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულებასთან, -გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთიდა სამ მინიმალურ ოდენობამდე, თანამდებობის პირთა – შრომის ანაზღაურების ორიდან ხუთ მინიმალურ ოდენობამდე.

ამონარიდი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონიდან

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადგილობრივი მაუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია ლიცენზიით განსაზღვრული მომსახურების ზონის მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის;

. . .

თ) ეროვნული მაუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც ხელმისაწვდომია საქართველოს მოსახლეობის არანაკლებ 90%-ისათვის;

. . .

წ) რეკლამა – კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის,

საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას;
ჭ) საარჩევნო კამპანია – საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ განსაზღვრული საარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცედურა;
ხ) საეთერო მაუწყებლობა – სიხშირის გამოყენებით მაუწყებლობა;
ჯ) საერთო მაუწყებლობა – არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის, პროგრამებით მაუწყებლობა;
ჰ) საზოგადოებრივი მაუწყებლობა – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისათვის შექმნილი, საჯარო დაფინანსებით მოქმედი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას (შემდგომში – საზოგადოებრივი მაუწყებელი), მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომლის მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისათვის;
ჰ1) სათემო მაუწყებლობა – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის არაკომერციული ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მაუწყებლობის პროცესში საზოგადოების იმ ნაწილის მონაწილეობას, რომელსაც ის ემსახურება, და რომელიც მიზნად არ ისახავს მოგების მიღებას;
. . .
ჰ8) სპეციალიზებული მაუწყებლობა – 1 თემატიკის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის გარდა, პროგრამებით მაუწყებლობა;
. . .
ჰ14) წინასაარჩევნო რეკლამა – რეკლამა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, გამგებლისა და მერის არჩევის ხელშეწყობას.

მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები
საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:
დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;

მუხლი 55. წინასაარჩევნო დებატები
1. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა უნდა გადასცეს წინასაარჩევნო დებატები თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს.
2. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა თავისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს, აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში.

მუხლი 55[1]. პოლიტიკური დისკუსია საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში
საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია არჩევნებს შორის პერიოდში ყოველკვირეულად განათავსოს თავის ეთერში გადაცემები, რომელთა მიზანია პოლიტიკური დისკუსია ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებთან დაკავშირებით, და არადისკრიმინაციულად უზრუნველყოს ამ გადაცემებში პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების (ფრაქციების), აგრეთვე იმ პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლობა, რომლებიც დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებენ.

მუხლი 63. ზოგადი დებულებანი
1.რეკლამასთან დაკავშირებით გამოიყენება „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

. . .
3.ლიცენზიის მფლობელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამის შინაარსზე. წინასაარჩევნო და სოციალური რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს.
4. რეკლამა და ტელეშოპინგი იდენტიფიცირებული და პროგრამისაგან მკაფიოდ გამიჯნული უნდა იყოს.
5.იკრძალება ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და წინასაარჩევნო დებატების პროგრამის წამყვანის ან ჟურნალისტის ნებისმიერი სახით მონაწილეობა რეკლამაში ან ტელეშოპინგში.

მუხლი 64. კომერციული რეკლამა და ტელეშოპინგი
. . .
4. იკრძალება ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების ტრანსლაციისა და პროგრამების რეკლამით ან ტელეშოპინგით შეწყვეტა:
ა) საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა, ოფიციალური სახელმწიფო ღონისძიება, უმაღლესი სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირის ოფიციალური გამოსვლა;
ბ) რელიგიური ცერემონია;
გ) პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 15 წუთზე ნაკლებია;
დ) ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური, წინა- საარჩევნო დებატების პროგრამა ან დოკუმენტური ფილმი, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე ნაკლებია;
. . .
9. ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ან წინასაარჩევნო დებატების პროგრამა რეკლამით ან ტელეშოპინგით შეიძლება შეწყდეს არა უმეტეს 15 წუთში ერთხელ და არა უმეტეს 120 წამით.

მუხლი 65. სოციალური რეკლამა
1. მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმოს 3 საათში არანაკლებ 90 წამისა.
2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულნი არიან ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 1 საათში არანაკლებ 60 წამისა და მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს სოციალური რეკლამის სახით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცედურების შესახებ. ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი და შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) საარჩევნო უბნების მისამართები;
ბ) არჩევნების თარიღი;
გ) საარჩევნო საპროცედურო უფლებები და მოვალეობები.

მუხლი 66. წინასაარჩევნო რეკლამა
1. საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, აგრეთვე მაუწყებლობის სფეროში სხვა ლიცენზიის მფლობელი, რომლებიც საკუთარ ეთერში განათავსებენ წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებული არიან მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, მაგრამ 3 საათში არანაკლებ 90 წამისა განათავსონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.
2.საზოგადოებრივი მაუწყებელი, აგრეთვე სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი, რომლებიც საკუთარ ეთერში განათავსებენ წინასაარჩევნო რეკლამას, ვალდებულნი არიან მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად, მაგრამ 1 საათში არა უმეტეს 60 წამისა განათავსონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი წინასაარჩევნო რეკლამა.

მუხლი 67. სპონსორობის დაუშვებლობა

1.ადმინისტრაციული ორგანო, ადმინისტრაციული ორგანოს წევრი ან მოხელე, პოლიტიკური პარტია, პოლიტიკური პარტიის ლიდერი ან თანამდებობის პირი, პოლიტიკურ პარტიათა კოალიცია ან ბლოკი, სხვა საარჩევნო სუბიექტი არ შეიძლება იყოს პროგრამის სპონსორი.

2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ძირითადი საქმიანობაა ისეთი საქონლის წარმოება ან მომსახურების მიწოდება, რომლის რეკლამირებაც აკრძალულია „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით, არ შეიძლება იყოს პროგრამის სპონსორი.

მუხლი 69. პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე სპონსორისა და რეკლამის მიმწოდებლის ზეგავლენის აკრძალვა

1. სპონსორს ან რეკლამის მიმწოდებელს ეკრძალება გავლენა მოახდინოს მის მიერ დაფინანსებული პროგრამის შინაარსსა და ხანგრძლივობაზე, ან ჩაერიოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მფლობელის სარედაქციო დამოუკიდებლობაში.

2. იკრძალება შემდეგი სახის პროგრამების სპონსორობა:

ა) ახალი ამბების პროგრამები (გარდა სპორტული მიმოხილვისა და ამინდის პროგნოზისა, თუ ისინი ცალკე პროგრამის სახით გადაიცემა);

ბ) რეპორტაჟები სოციალურ და პოლიტიკურ საკითხებზე;

გ) პროგრამები მომხმარებელთა უფლებების შესახებ, საარჩევნო ან საარჩევნო კამპანიასთან პირდაპირ დაკავშირებული პროგრამები.